საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2622/01
18/03/2022

2622-01-2-202203181323

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“

მის: ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პეტრიაშვილის 10

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №3480 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კობი-ქვეშეთის გზის 1-ლი ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში კობის სამშენებლო ბანაკის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);
- წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი გამწმენდი დანადგარის შესახებ ინფორმაცია და მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია ცხრილში 3.3.1. გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ: მჟავიანობის მაჩვენებელი გაწმენდის შემდეგ აჭარბებს ,,გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმას. ასევე გაუგებარია ჩამდინარე წყალში გაწმენდის შემდეგ მოცემული ნავთობპროდუქტებისა და შეწონილი ნაწილაკების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, გაწმენდამდე არარსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044